

4
1963

ნან. წ. დივხასა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17 მაისი საჩუქრის დღი





ჩვენი ძველის გაზაფხული
გაიხალა ია-მარად;
დღეს ხმას ვაძლევთ ალალ გულით
მოსუცი და ახალგაზრდა.

ვინც გაუგავს შემართებით
ზრომით თავი ისახელა,
მალავს მარჯვენით შესძრა მთავი,
ხვავი დაღა მინდორ-ველად.

№ 5 თბილისი 9 აკ ბ-ი 1963
საჩუქრი
გამოცემის 20-40 წელი, ჯანი 20 კპ.

მეზღვევნი



ყველა ადამიანს თავისებური მარიფათი გააჩნია ცხოვრებაში. ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები, ზოგი მხოლოდ საკმაოს შოულობს, ზოგი ზღუჯა-ზღუჯად და აღარც იცის რაში დახარჯოს და როგორ დახარჯოს.

მართლაც რაოდენი ნაირფერობაა ამ დღეობის წუთისოფელში!

იყო დრო და, თქრო იყო დგთაება, მრავალთა სანატრელი და ღვთისა და ბედის წინაშე სავედრებელი, სანუკვარი და საოცნებო. ადამიანი მონა იყო თქროს კერპისა და თქრო ადამიანის მბრძანებელი.

იცვალა დროება, გახუნდა თქრო და ჩამოეცალენ მას მისთა მოსავეთა მილიონები, მისი ადგილი პატიოსანმა შრომამ და უკეთილშობილესმა ადამიანურმა თვისებებმა დაიჭირეს.

მაგრამ განა უკლებლივ ყველა ადამიანმა შეაქცია ზურგი ამ კეთილშობილურ ლითონს?

მისმა ნაგვიანემა სიყვარულმა არა ერთი და ორის გულს მოსდო ჟანგი, არა ერთსა და ორს დააკარგინა ადამიანური ღირსებები, დააგლახა, ქურდად, თაღლითად, სპეკულანტად და გაიძვინა აქცია, ადამიანური ღირსებებისაგან ერთიანად განძარცვა და ნათელი გზიდან მოღიპულ გზაზე დააყენა.

მუქთახორათა, უსაქმურთა, იოლი ცხოვრების მაძიებელთა, პროფესიულ ბოროტმოქმედთა და ბნელთა საქმეთა მოქმედთა, ცრუთა და გაიძვინათა წამლელეთა და გარეწართა კერპად იქცა იგი.

იმ ამბავში, რომელსაც ჩვენ ახლა მოგიყვებით, არც ერთ მოქმედ პირს არ ჰქონია პრინციპი. ყველა ცალ-ცალკე დაადგა ამ გზას, დაადგა და გადასვება არ ისურვა.

მეგალუტე კონსტანტინე ბორისის ძე გა-

ზალოვმა იაკუტის ასსრ სოფ. უსტ-ნეროს მცხოვრებმა, მანდიტობისათვის არაერთხელ ნასამართლებმა, და 1923 წელს დაბადებულმა გადასწყვიტა ამიერკავკასიაში თქრო ცოტაა და ამ ბუნების სიუხვით განთქმული მხარის ერთადერთ ხარვეზს იმით შეეგასება, რომ მარცვლოვან თქროს ჩაეიტან და გრამს სულ რაღაც 7—7 მანეთად გაეყიდო.

მაგრამ სიმართლის მოქმედსა და კეთილი საქმის მოქმედს ცხენი შეკავშული უნდა ჰყავდესო, რომ ამბობენ, მის მიმართაც მართალი გამოდგა. სასტუმრო „საქართველოდან“ რომ გამოვიდა, ჩემოდანი თავაზიანად გამოართვეს ხელიდან, ვიცით, კიროვობადში რომ მიემგზავრები დარჩენილ მარცვლოვანი თქროს გასასადებლად და უკვე გასადებულში სულ რაღაც 10.000 მანეთის ასადებებად და შენ აღარ შეგაწუხებთ, ამ ტვირთს დანიშნულების ადგილამდე ჩვენ მივიტანთ. დანიშნულების ადგილი კი რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს სპეკულაციისა და სახელმწიფო ქონების დაცვის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილება აღმოჩნდა. „საწყალ კაცს“ ჩემოდანში 100—100-გრამებიან შეკვრებად ჩალაგებული 500 გრამი თქროლა აღმოაჩნდა. ეს თქრო ვინმე სულეიმანმა მომცა, მიდი, თბილისში რომ ჩაივლი, გზის ფულად დაგჭირდება და გაყიდეო, მაგრამ არ დაუჯერეს და ოთხ კედელშია მიუჩინეს ადგილი.

1962 წლის სექტემბრის დამლევს გიორგი სიმონის ძე კისელიოვს ბათუმში მცხოვრები ცოლ-შვილი ისე მოენატრა „ილჩანის“ სარეწაოში 208 გრამი თქროს ქვიშრობის ჩაბარება გადაავიწყდა, ეს ამბავი მილიციის მუშაკებმა ბათუმში შეახსენეს... — კაცო,

მეც გამახსენდა, 1963 წელს ვაპირებ სარეწაოში დაბრუნებას და მაშინ ჩავბარებო, მაგრამ არ შეაწუხეს გიორგი ქვიშრობიცა და კიორგიც თვითონ ჩაიბარეს და ქ. ბათუმში, შაუმიანის ქ. № 15-ში მცხოვრები მოქ. ჯიოვაც გააფრთხილეს პატიოსან შრომას მოკიდე ხელი და გულმაგიწყთა მიღებას, თუ შეიძლება, თავი მიანებო.

მაგადანის მხარის სოფ. სუსუმანიდან უფროსის დაუკითხავად მსუბუქი სატაქსო მანქანით გამოიპარა მძღოლი რამინ კონსტანტინეს ძე გუგუშვილი, ჩამოვიდა შშობლიურ გორში, იქ ბამბეულის კომბინატის ცვლის ოსტატი გიორგი მიხეილის ძე ფილიშვილი მონახულა, ცოტაოდენი თქრო მაქვს და მიდი გაასადეო. ფილიშვილმა მესაათე მარლენ კალანდარიშვილს მიუტანა ბრჭყვიალა ლითონი და ისიც კბილის ექიმებსა და თქრომჭედლებს თავაზობდა, მუქთია, იყიდეთ, გრამში 7—7 მანეთი მომეცით, მეტი არ მიინდა, ასეთ თქროს, მაგადანშიაც ვერ იპოვით, დამიჯერეთო.

ჰოდა, ამ წმიდა სამებას მაშინ ჩაავლეს ქეჩოში ხელი, როცა 910 გრამი მარცვლოვანი თქროლა დარჩენოდათ „საბარლოებს“.

ვანელმა მესაათემ ისააკ ჩიკვაშვილმა ქუთაისში 750 გრამი მარცვლოვანი თქრო ჩამოიტანა მხოლოდ, რომ ჰკითხეს საიდან გაქვს ასე მცირე თქროთ, ვინმე პაპიაშვილმა მომცათ, პაპიაშვილმა — ოთარ როინიშვილმა მიწილადაო, როინიშვილმა კიდევ ვინმე სხვა დაასახელა, და ამ თქროს ესტაფეტამ ისე შორს წაიყვანა ისინი, რომ ახლა მაგადანის ოლქში ჩააბრძანეს, სტარტი იქა გაქვთ აღებული და, ბარეღამ, თქვენი მოღვაწეობის სათავეც გვიჩვენეთ, თქვენც მოისვენეთ და ჩვენც მოგვასვენეთო.


ქუთაისელი იონა მიხეილის ძე იომაშიძე ფესსაცმლის მწმენდავი იყო, „საწყალი“ კაცი და კიდევ უფრო „საწყალი“ დაიკო ჰყავდა ბინა მიხეილის ასული იომაშიძე, მაუდის ქარხნის დამლაგებელი... ერთ დღეს ამ „საცოდავებს“ ბინა დაუთვალა და შეფის რუსეთისა და უცხო ქვეყნების „რაღაც“ 162 ცალი თქროს მონეტა უპოვეს, თანაც 3.370 მანეთის სამპროცენტო ობლიგაცია და დიდძალი ოდენობის სხვადასხვა სამრეწველო საქონელი... არც ეს „საწყლები“ შეიბრაღეს...

პირდაპირ გასათყარი ხალხი მუშაობს ამ რესპუბლიკის მილიციის სამმართველოში, რევაზ ასათიანი გინდა თუ რემა დავითაშვილი! კაცო, სხვა საქმე ვერ იშოვებს? კაცმა ერთი კილო თქრო რომ იშოვოს, ისიც დანაშაულად უნდა ჩაუთვალონ?


სათყარი ხალხია, ჩემმა მზემ.

მ. ჯარჩავა

ნახ. ა. კანდელაკისა



— გახურებული მუშაობის დროს ვაუკაცი კაცი ქვეშიდან გამოდინარ?!
— ქვეშიდან ისინი გამოდიან, ვინც ეს ტრაქტორი გაარემონტა და მე მომიგდო საწვალეზლაღ.



172. 63

ლიტერატურულ-რედაქტორული ესტაფეტა.

თქვენ როგორ გგონიათ, ეს შუშის თვალი და ფეხზე პროთეზი დედის მუცლიდან გამოიყვებოდა თუ? საირმის კლდეები გაგიგონია? იქ გადაფეშვით ავტომანქანით. მტერს იმისთანა დღე, რაც ჩვენ დაგვაღება.

მართალია, უბედური შემთხვევისაგან დაზღვეული არავინ არა ვართ, მაგრამ რაჭის გზები, იცით, რა არის? ჭყინტი თუ არა ხართ, თქვენც გეცოდინებათ — პაპაჩემის დროს გაიყვანეს ქუთაისიდან მამისონისაკენ მიმავალი გზა, იმის შემდეგ აკეთებენ, აკეთებენ დაუსრულებლად და დღემდე ვერ იქცა გზატკეცილად. ძირს რომ რიონი მიღმუის გააფებული და გაცოფებული, ზევიდან ქეები ცვივა. თვითონ გზის ზედაპირი ხომ ორმოთა დაუსრულებელი წყებებითაა დაფარული. მანქანა კი არ მიდის, მიხტის. მგზავრებს ნჯღრვისაგან გულმუცელი ეგლიჯებათ. არის დაუსრულებელი ოხვრა-კვნესა და ვაიუშველებელი:

გადარჩი. ნუ დაგავიწყდებათ და თითქოს სოფლის გზებსაც აკეთებენ, ადგილ-ადგილ ქვიშაც მოუტანიათ, მაგრამ მერე კაცი აღარ აღმოჩენილა, რომ გაეშალა. ამიტომ ხელოვნური გორაკები აღმართულა და გზა თვით საურმედაც უფარვისი გამხდარა.

ნამეტანიაო? მთლად ასე არ იქნებაო? ჭრებალო, იცით? იქიდან რომ ავტომანქანით პატარა ონში ახვიდე, სიკვდილს ინატრებ. თხმორში თუ დააპირე წასვლა, ხომ მთლად თავსეხელადებული უნდა იყო. ბუგეულის ხიდიდან შრომა-ქედისუბნისკენ გზა მიდის, პა, პა, პა დაგიფარა ღმერთმა! იმას ვინც გზა დაარქვა, სინდისი შეურცხვეს. სხვაგა-ფუტიეთსა და მთისკალთაზე უფრო იოლი მისადგომი იალბუზია, ალბური მოწყობილობით აღჭურვილი მაინც წახვალ იქ. გლოლის, დებისა და ანკარის გზებზე რაღა ფთქვა...

სოფლის შიდა გზებზე ხომ აღარ დირს ლაპარაკი. შარშანწინ ზამთარში ჩემი ცოლის შორეული ნათესავი გარდაიცვალა. მოგესხენე-



— ნელა წვიყვანე, შე გასამწარებლო!

— ვაა, მე ხომ არ გაფწვები „პაკრიშვების“ ქვეშ?!

ადგილ-ადგილ ასფალტის ოაზისებს შეხვდები, მაგრამ, რად გინდა, მეორე წელს რომ გაიარო ნაასფალტარიდა დაგვხვდება. ესეც ოსტატობაა, გზა ისე შეაკეთო, რომ მაშინვე შესაკეთებელი გახდეს.

არა, არ შემიძლია აქეთ მგზავრობა. მინდა ლოგინში მოგვედე, რაღა კლდეზე გადავიჩეხო ნადირივით.

ერთ ჯერზე მოგზაურობას როგორმე გაუძლებ კაცი და წყნარ სოფელში ჩახვალ, დაისვენებ, სამოთხესავით ბუნებაა, მაგრამ ვინ დაგასვენებს, სიძვა ჩამოსული, პატივი უნდა ვცეთო. მოგესხენებათ რაჭველების სტუმართმოყვარეობა, საიდან არ გამოგიჩნდება ნათესავი, დაგპატიებენ. აბა, უარს როგორ ეტყვი, წახვალ და ვაი შენი ბრალი. საურმე გზებზე ატარებენ ავტომანქანებს. ხშირად ეს გზა ტალახისაგან, ან ლოდებისაგან გაუგალია, ამიტომ ყანებზე გადაუხვევენ, მერე ბურჯანარზე და, ადგილზე რომ მიხვალ, გიკვირს, ცოცხალი როგორ

ბათ, ჩემი მეუღლის ხასიათი, იმდენი ქნა, ტირილში წამიყვანა. ძლივს მივიტანეთ სული იმ მიუგალ სოფელში. მივედით და ახლა მიცვალებულის გასვენება არ გინდა. კატა ვერ მოიკიდებდა ბრჭყალს, ისეთი გზა მიდიოდა სასაფლაოსკენ. დაუწყდით ხალხი. სამჯერ გადაგვიბრუნდა კუბო. თქვენც არ მომიკვდეთ, სასაფლაომდე მაინც ვერ მივალწვიეთ, მიცვალებული უკან გამოვაბრუნეთ და ისევე ეზოში დავმარხეთ.

გაზაფხულზე და შემოდგომით მიუვალი ციხე-სიმაგრესავით არის სოფელი ბაჯი.


რათ, ვისაც ეს საქმე აბარია, რას აკეთებსო:

ხუხავენ, ბატონო, ხვანჭკარას, ტვიშსა და ალექსანდრეულს და გზებისსათვის სადღა მოიცილიან, თუმცა, კი ჯობია მოიცალონ, თორემ მთვრალ კაცს გზა, თუ არა ვცდებით, კიდევ უფრო სჭირდება, ვიდრე ფხიზელს.

ეს, ძმაო, ყველას თავისი გზით გაუმარჯოს, ოღონდ ჩემს ჭადარას ეცით პატივი და რაჭის გზები არ გამახსენოთ.

ლევან მრეხალიძე

წყალი რომ არსებობს ერთ-ერთი უპირველესი წყარო... და თქმა უნდა, ხანა შეეხილები დახვალა და სწორად ამბობს...



ერთხელ, ყურმა სამთხვენი ნახა როგორ შეჭრა მელა და შეიპყრო გულბოროტი რაკი ჩაითხვედნენ.

მელა ყურმა არწყობდა: — თუნცა მეფარს ხორცე ქაბონი, ფიცაცა, მისთვის არახლეს...

შემისრულე თხოვნა ერთი: გამიშვი რა, წყალ ჩემთვის! დამატყრულმა ცხო სიტყვებმა გერე შოუბო ყურმა გული,

გზას ჯიღილით გაუყენა მელა ჭკუადაკარგული. ზრახშირულ ყურმა ყურში უთხრა მელამ ეს სიტყვები:

— მე ერთი მიწლა, ამით გვეუს ისწავლიან და სხვებზე? მართალია, ქვეყანავე ცნობილია გარჯა შენი,

მადრამ, სასჯელს თუ იმავდენ, ჩემზე იუსი კაცივ ძველი. ჟერ არ სურდა, მაგრამ ახლა ყურმა მელას დაათანა.

ხომ არ ფერბობი, რომ ურწამსათ შეირტყნინა მელამ პირი? ერთ საათში შეუფრგო, კეითლ მუარველს შესაბირი.

მტრედისფერი რიურაიკა, ტბილი ძილით სინძისც ყველას, ნაჭურღალით მხარდატვირთულს, ისევე უბნა იჭერს მელას.

რა ქნას, იცის მელაკდამ თავს ვერაფრით გამიართლებს, და, სასჯელს რომ გადაურტყს, უსტახედ ურად გააკფოს კაბიუმებს.

მადრამ ამ დროს, თოფის ხმაზე, იხზარება ზუგა მადლით და ბნელ საჭებს წყურება, მელაკდ და ყურმა აძლიეს.

მ. პარასოტი
მ. პასხილიძე

მ. ინახაძე



— რას შეეხი, კაცო, რე შევიწერი ხეს ჭრ? — მოთხრა ეგრ მოცხებ და აბა რა ეცნა?

მეზობლის სიტყვის ნიშ



— აბა, აიღეთ ბილითი! — მატყვეპული ლეიტი, მე შარსან აბინიშტი მიქონდა!

სამასურში ისე ვერ მივიღებთ, საცნობო კონხის დაყენას თუ არ მოიტანთ, მითხრეთ დაუსტებულხართ და პირდაპირ პოლიციამში გამეზადდეს... პირველად ყველაურცვების ქვიშაში მიხმეთ:

— გავედ პირი! — მიხსრა ქვიშაში. — გავედ რამეს? — რატომი შებრავულ წყირღას, თქვე: „აბა...“

— თუ, თუ, თუ, — თრუბანტლმა დამიარა შემწვარი წყირღის სხუნებმა შედ და დაგულ პირი. — ყველმა არაფერი გაქვს. ცხვინურე რას ტყვიე? — დღემში საშვრ გაეციმინებ, ბატონო, ხერი მანც არაფერი მაქვს. — ცხვირის დატყვებამში ხერი რომ რომ, ბურნუთი მილოთხანავერი ეფერებოდა.

— გაურებს არ გამისინჯათ, ქვიშაში? — რაო, რაო, რაო! — რა გაევიტოდ, ბატონო! — ვაწხვოდა ჩემი ხმა? — მია რა.

— პოდა, არ ყოფილარე ცრუ, იარე შენი გნით. — მერე თაქსის ქვიშამ შეგიტყახს, გაღვებულ შენი და-მიხსტა და თვლის ქვიშის ფერბთან მისებ.

— ბრაზ ბარ? — მეთხას შევიდა. — არა.

საქმიანი განცხადება

— მასე გგონია შენი, აბა მიხსრა, რა, რა შენდა შენს წინ?

— მე ვერცე თქვენს ლამაზ თვალებს, მელის ნუკრიით მიღრებულ ყველს და ჩამარწყველ ტრუბებს. — არაფერი შეგნია, შებარა აწი არაფერი შეგნისაო, გათხოვილი ვარ.

მერე პირურმა გამისინჯა, საწმინდად ვახანდა, არაფერი რომ არ მიქოდა მტრბილი. შინავანდა მიხსრა, გარენდა ყველაფერი რიურე გაქვს და ვიდრე მივინთ შემხივდია, დროსე გახვეცდეთ.

რეხბეწითოღვი გაკვერე ვეხვინდა კინადა გადავირია, როგორვე დროსე ადრევე აღმოჩნდა ვახანდა. ჟერი მანდა მისე წინა გეწე, ხანოლოდ მას უნდა მიეწერა ხელი. რეხი განრქოლობის დასაქმებულს ირ ღროს მომიხიდა მსგავსა, როცა ვილაყდა დაურეგა გეგუფობით.

— არ მეტლია ახლა, საწმინდად დღე შენი გამომავლ, — გამომიტყავა ხელიდან კონხის ფურცელი და სადღაც შევსო.

— არ დამეკარგეთ, ბატონო! — დღავარყო, თორეე აქვს სტკოსანი? ჩამაბარე.

— თოხი მასო მოწირის გულბო-ვის, თოხ ღღეჭ წუნდა შენდა რე?

— მისხტლი მანქანი, — სკოლა, — მანქანებში ვიქნები. — ვიქნები და მეტოქეობაში ვიქნები. — ვიქნები და მეტოქეობაში ვიქნები.

ჩემი, რომ ამივე შეგნებულა ვიქნები, კბიბა და ურეწვებზე დაკავებული ვიქნები. ვეფერივლი და ვერ ვამწიფდები.

— მერე გეგნებოდე, თანდათან თორხანაოთიან ანგელოწვი გაცხი ვარხნი.

— ნერევილია ეს ყმარული, მხეცდეთ! — ისროლა გემზე და გაუბნებრა.

თორხანაოთიანებმა მამონევე მოხსნიდა და წარვეულ განყოფილებში დასაწევებს სატრუბულად. ორი დღის მანძილზე ნარეულია „დამწარებელი“ გამომავალი, გულწრფელი მალბობის დასაქმებულ ვიქნებო გახვებთან. იქ აღარ დამხვებ.

— მოხსნეს? — ვეთხებ ნაცნობ თვალის ქვიშის.

— არაფერი შეგნისაო, დანარეხნი რეს.

გ. მახვილშია

რევი გუგულის ქურკი

ბოსქ გარბდე ზამთარ-ზაფხულ მზეზე იარბილებდა და, შენა რაღვრით ვაგრუნა, რომ ვერეოდ ვიქნა და მის თვალში. — „ბოროლი ცუდად მიუბრუნებოდა, მტრე თვალში.“ — თქვა მისი და განხიბა გგუს შევლდე. შევლდე ვაგრე დალია ადგილგარ და ორი საათე გგის სასაფლაო თასო წყლის მიწის გასწვრივ მასახელდა თადარქის შევლდე. ორი საათე მიწის გასწვრივ მასახელდა თადარქის შევლდე. ორი საათე მიწის გასწვრივ მასახელდა თადარქის შევლდე.

— დამწიფიდი კოლი. ველი ამბავიანება. — შენებდ რევი მოივლოდა და, მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა და, მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა და, მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა.

— მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა და, მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა და, მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა.

— მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა და, მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა და, მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა.

— მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა და, მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა და, მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა.

— მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა და, მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა და, მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა.

— მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა და, მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა და, მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა.

— მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა და, მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა და, მანაშე იარავეშედა, სანამ ვე-ლიეზე დასაყვიდა.

გ. მახვილშია



დაწესებულებაში სწორედ იმ დროს მომიხდა მისვლა, შესვენება რომ ასლოდებოდა.

აჩქარდი. კიბეები ავირბინე. ის იყო წიმპოპინკპონკტრუსტის ბუ-ლატერიამიც შევადწიე, რომ ზარმაც გაიწკრიალა.

აუ, რა წაგა ახლა უკან! — გავიფიქრე გუნებაში და მდივანს ავე-ტუსე წინ!

— ბოდიში, მხოლოდ ერთი წუთით...

— სად მიბრძანდებით, მოქალაქეგ, დაბრუნდით უკან...

— მხოლოდ ერთი წუთით... მხოლოდ ხელს მოაწერს...

— მოქალაქეგ, ყრუ ხომ არა ხარ, შესვენების ზარი ვერ გაიგონე?

— რა ბიუროკრატობაა! — ჩავილაპარაკე.

— როგორ! ილანძღვით კიდევ? თქვენ რომ გიყუროთ, ადამიანი შიმშილით მოკვდება. დაიცადეთ ერთი საათი და შემდეგ... — წინა-დადება აღარ დაუმთავრებია, ბუღალტერიაში შევიდა და იკითხა:

— აბა, გოგონებო, რა გვაქვს საუზმედ?

— აგერ, ტაფაზე დღეობიდან დარჩენილი გოჭის ხორცი იბრა-წება.

- მეორე ელექტროქურაზე ყავა დუღდება.
- ჩემს ელექტროქურაზე მჭადს ვაფიცხებ.
- ისეთ ლობიოს ვაცხელებ, რომ თითებს ჩაიკვნებოდა.
- ხაჭაპურებიც მოგვეპოვება. — სეტყვასავით დააყარეს აქეთ-იქიდან.

და მართლაც, არ გასულა სულ ცოტა ხანიც, ბუღალტერიაში ისე-თი სუნი დატრიალდა, რომ თქვენი მოწონებული: აშიშხინდა ძეხვი, ილუკმებოდნენ ლობიოს, ტკვირადნენ გოჭის ფეხებს, ისმებოდა ყა-ვა, ღუმელზე ცხელდებოდა ქართული ლავაში და ისეთი პურისჭამა შეიქმნა, რომ ღმერთმა შეარცხვინოს რესტორანი და მისი სამზარეუ-ლო! უნდა გამოგიტყდეთ და მჭადის სუნმა, ღობის და სულგუნის და-ნახვამ მეც მადაზე მომიყვანა. მაგრამ, რას ვიზამდი, წასვლა-მოსვლა მეზარებოდა და მეც ვბცდიდი კუთხეში სკამზე მიმჯდარი.

ასე გავატარე ერთი საათი.

ის იყო კვლავ ტრესტის მმართველის კაბინეტის წინ ავიტუსე, რომ მდივანმა მომაძახა:

— არ გახლავთ, გამოუძახეს!

მივხვდი, საუზმიდან არ იყო დაბრუნებული.

ხელი ჩავიქნიე და უიმედოდ კიბეებზე დავეშვი.

ქუჩაში გამოსვლისას სახანძრო მანქანები სადღაც ტყვიასავით მიპქროდნენ.

ჩავფიქრდი.

წიმპოპინკპონკტრუსტის თანამშრომლების რა მოგახსენოთ და მე კი მთელი დამე იმის ჯავრმა არ დამაძინა, ელექტროქურა ხომ არ და-რჩათ-მეთქი გამოუთიშავი?!

არა, მე თუ ბრიყვი არა ვარ, ასეთი რამ შეიძლება იფიქროს კაც-მა?!

პ. გოგიაშვილი

მაგრამ ფასი არა აქვს

ადრე სალამს არ უჭერდა ჩვენს ქუჩაზე გავლილთა, მაგრამ, როცა დიტოს ბიჭი დიმიტრიჩი გავვიხდა,

როცა კომგანს მოევიღინა სანაქებო უფროსად, როცა ვიღაც ნათესავმა ეგ ადგილი უბოძა,

მიშა გავვიმიხეილდა, დაუმძიდა ნაბიჯი; დაივიწყა ყველა ძველი ძმაკაცი და ძმაბიჭი.

შეკითხვაზე ყველა მთხოვნელს მიუგებდა მევახედა, სახელსა და მამის სახელს თუ არ დაუძახებდა.

სალამს აღარ კადრულობდა, თავი ისე აიშვა, მაგრამ ბოლოს მიაბრძანეს ის და ვინც ის დანიშნა.

დღეს უწყინრად დადის მიშა, ჰგავს ანგელოზს უნაზესს, გამარჯვებას ამბობს, მაგრამ აღარავინ უფასებს.

ბ. პარღანიძე

პაექრობა

იყიდა მომხმარებელმა მაღაზიაში სა-ქონელი, ჩანთაში ჩააწყო და გზას გაუდ-გა.

ჩანთაში პაექრობა გაიმართა...

ლუღმა წაიტრაბახა:

— ვინც რა უნდა თქვას, და, ჩემსავით გასავალი მაინც არც ერთს არ გაქვთ!..


— ნეტავ იმად ღირდე მაინც, რა ფასა-დაც სთავაზობს გამყიდველი მომხმარე-ბელს შენს თავს! — აშუშხუნდა ლიმონა-თი.

— ვაი, რომ ჩვენი ფასი გამყიდველის მეტმა სხვამ არავინ იცის! — სირცხვი-ლისაგან ჩაიფერფლა სიგარეტი „პრიმა“.

ნანა პანდელაძე

თბილისში სწრაფად იზრდება კაფეების რიცხვი. ზოგიერთ მათგანში დაბალია პროდუქტების ხარისხი და მომხმარებლებს ვერ უწევთ კულტურულ მომსახურებას.

ნახ. გ. ფირცხალავაძე



კაფე-თებე... კაფე-თებე... კაფე-თებე...




ნახ. გ. ჭუმბურიძისა

—მარტო ხარ, დედი, ჩემი ქალბატონი სად წაბრძანდა?
— დილას ორი წუთით გადავიდა, შვილო, ჩვენს მეზობელ ელიკოსთან.

ნახ. ა. ყრუაშვილისა და რ. ბოკუჩავასი



ამდენ ოინებს ბოთლის, რომელი ღოთი მოთვლის?



კარგი მეზობლობა ჰქონდათ პოლიგრაფგამომცემლობის პირველ სტამბასა და მეორე სკოლა ინტერნატს, მაგრამ, მათ შორის, შავ კატასავით გაიბრინა პირველი მაისის რაიონული საბჭოს აღმასკომის სარემონტო კანტორამ.

ეს ამბავი გასულ წელს დაიწყო. პირველი სტამბიდან სკოლის ეზოში, სწორედ იქ, სადაც კალათბურთის მოედანია, გამოჟონა წყალმა, სასაზღვრო კედელი, რომელიც სკოლასა და სტამბას ჰყოფს ერთიმეორისაგან, დანესტიანდა.

ეაჯენ სკოლა ინტერნატის წარმომადგენელნი სტამბის წარმომადგენლებს: კედელი რომ სველდება, ეს კიდევ არაფერი, მაგრამ, საქმე ისაა, რომ ეზო გვისველდება, ეზოში კი კალათბურთის მოედანია, ამის გარდა, ეგ წყალი არცთუ ისე ჰიგიენურ სათავსოდან მოედინება და, ამიტომ, გთხოვთ...

თხოვნა არ დაამთავრებინეს სკოლის მესვეურებს და პირველი მაისის სარემონტო კანტორას 1962 წლის თებერვალში 164 მანეთი და 40 კაპიკი გადაურიცხეს.

დატრიალდნენ კანტორის მუშაკები, სტამბის ეზოში ატეხეს ალიაჭოთი, შემდეგ განაცხადეს, რემონტი დამთავრებულიაო და უჩინმაჩინებოვით გაჰქრნენ.

გავიდა დრო და კედლიდან წყალმა მაინც გამოჟონა, ისევ ეაჯენ სკოლის წარმომადგენელნი სტამბის წარმომადგენლებს, თხოვნა არც ახლა დაამთავრებინეს და 1962 წლის დეკემბერში პირველი მაისის სარემონტო კანტორას 410 მანეთი და 62 კაპიკი გადაურიცხეს. დატრიალდნენ კანტორის მუშაკები, ატეხეს ალიაჭოთი, შემდეგ განაცხადეს, რემონტი დამთავრებულიაო და უჩინმაჩინებოვით გაჰქრნენ.

გავიდა დრო და კედლიდან წყალმა მაინც გამოჟონა... სკოლის დირექციას რცხვენია კიდევ მიმართოს სტამბის დირექციას, რადგან, იცინან, შერცხვებათ სტამბის მუშაკებს, მხოლოდ პირველი მაისის სარემონტო კანტორის მუშაკებს არ რცხვენიათ, ანდა, რისი უნდა შერცხვეთ, ასეთი შემთხვევა პირველია თუ რა? თქვენგან არ მიგვირს?!
ა. წყაროზია.

ლაკარბული კედლი

— რა ძალი მყავდა, რა ძალი!.. ძალი კი არა, ფოცხვერი იყო. მისი შიშით ჩვენ კარმიდამოს ჩიტი ვერ გადაუფრენდა, სათოფეზე ვერ გაეკარებოდი... ძე-ხორციელს არ გააჭაჭანებდა ეზოში. აფსუსს, რა ერთგული მცველი დაგვარგე!..

— მოვიკლავს?
— არა, მომპარეს.

ბ. შარაშიძე

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, თ. კელიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქტორი ნ. შველიძე.

თბილისი. სატირისა და იუმორის ეურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 2/III-1963 წ. კად. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნახ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შგვ. № 447, უფ 03164 ტირაჟი 40.000

პარიზთან დადებული გარიგება ატომური იარაღის საკითხზე, უეჭველია, რაინელი რევანშისტებისათვის მხოლოდ ერთ-ერთი ხერხე-ლია, რომლითაც მათ შეუძლიათ შეაღწიონ ატომური იარაღის საწყობში (გაზეთებიდან).

